სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 7

ქ. თბილისი

21 მაისი, 2018 წელი

ერთის მხრივ, **შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“** (შემდგომში „შემსყიდველი“), დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ყაზარაშვილის სახით

და

მეორეს მხრივ, **შპს „ედლაინი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის, ვახტანგ დუდუჩავას (პ/ნ 01024021416) სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც მხარეები;

მხარეები ვმოქმედებთ რა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1. პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის (ა) ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვით (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ქარის ტურბინის მაკეტის სამღებრო სამუშაოების (CPV 45442121) (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 მომსახურების დეტალური დასახელებები, მახასიათებლები და ღირებულება ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1 (ინვოისი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3 მომსახურების გაწევის სანაცვლოდ შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს შესაბამის ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია კეთილსინდისერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.

2.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2 მომსახურების გაწევიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

3.3 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის/მომსახურების მიღებაზე, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს/გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2 ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი; ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს 5.2 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. ხარისხთან დაკავშირებით ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

6.2 თუ მიმწოდებელი 6.1 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ვერ/არ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება დააკისროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს შემსყიდველისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ორი სამუშაო დღისა.

6.3 მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. არაჯეროვანი შესრულების შედეგად შემსყიდველისათვის ან/და მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4 მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.5 საქონლის მიწოდების დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

6.6 შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების ან/და არასრული თანხის გადახდის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე ხელშეკრულების

ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. თუ ასეთი დარღვევა არ გამოსწორდება ორი კვირის განმავლობაში საქონლის მიწოდება შეჩერდება.

6.7 მიმწოდებლის/შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

7.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.(მიწისძვრა ,წყალდიდობა, სახელმწიფოგადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე დაითვლებიან ფორსმაჟორულ გარემოებებად).

7.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

7.3 წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

7.4 მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონსტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე თორნიკე ყაზარაშვილი, რომელიც წარმოადგენს მომსახურების გაწევის მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.2.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

9.4 ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

10.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს: მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. დავათა გადაწყვეტა

11.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის: თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12.5 ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ს/კ 404957338
მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #8,
საბანკო რეკვიზიტები:
სს “თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
საბანკო ანგარიში:
ა/ა GE65TB7647636030100001

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
თორნიკე ყაზარაშვილი

მიმწოდებელი

შპს „ედლაინი“
ს/კ 406075946
მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. N25ა
საბანკო რეკვიზიტები:
სს “პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
საბანკო ანგარიში:
ა/ა GE62PC0563600100002833

ვახტანგ დუდუჩავა

ინვოისი

ქარის ტურბინის რესტავრაცია
1)ქარის ტურბინის სრულად გადაღებვა .
სულ ფასი 450 ლარი. დღგ-ს ჩათვლით

ქ.თბილისი.მოსკოვის გამზ.25ა

შემსრულებელი შ.პ.ს. ედლაინი.

ს/კ 406075946

მომსახურე ბანკი: ს.ს "პროკრედიტ ბანკი"

ბ/კ **MIBGGE22**

ა/ნ **GE 62 PC 0563600100002833 GEL**

მინდობილობით
უფლებამოსილი
პირი.

ვახტანგ დუდუჩავა

თარიღი21/05/2018

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

90970664666615

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150055839

რეგისტრაციის თარიღი

22.01.2015 წ

ნოტარიუსი: ლალი ბაგრატიონი
მისამართი: ქ. თბილისი მეტრო სადგურ „ვარკეთილი"-ს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 0322765201

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაორ იანვარს მე, ნოტარიუსს, ლალი ბაგრატიონს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მეტრო სადგურ "ვარკეთილი"-ს მიმდებარე ტერიტრია, მომმართა: **ზაზა ჭინჭარაულმა, როგორც შპს "ედლაინი"-ს დირექტორმა, თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის № B12104801, ს/კ 406075946)** მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა **ვახტანგ დუდუჩავას** სახელზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზაზა ჭინჭარაულმა** (დაბ. 08.01.1972წ. თბილისი, პირადი № 01012019423, რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი ვაზისუბნის II მ/რ კორ. 10 ბ. 49**) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა **ზაზა ჭინჭარაულმა** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაორ იანვარს შპს „ედლაინი"-ს დირექტორმა ზაზა ჭინჭარაულმა (ს/კ ს/კ N406075946) ვახტანგ დუდუჩავას (დაბ. 22.07.1981წ. თბილისი, პირადი № 01024021416, რეგისტრირებული მისამართზე: **თბილისი პეკინის გამზ. N 31"ბ" ბ. 31**) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:
ვახტანგ დუდუჩავა უფლებამოსილია იყოს ჩემი, **როგორც შპს „ედლაინი"-ს დირექტორის** სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში, საქართველოს ს/ს **„პროკრედიტ ბანკი"**-ს ნებისმიერ ფილიალში რათა მართოს და განკარგოს **შპს "ედლაინი"-ს** სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიში, განახორციელოს აღნიშნულ ანგარიშზე ყველა სახის საბანკო ოპერაცია (მათ შორის თანხის შეტანა-გამოტანა, კონვერტაცია, გადარიცხვა), მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები, განახორციელოს "მეწარმეთა შესახებ კანონითა" და საზოგადოების წესდებით გათავლისწინებული ყველა აუცილებელი ქმედება, შეიტანოს ან გამოიტანოს განცხადება, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და ინფორმაცია. ხელი მოაწეროს ჩემს ნაცვლად ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ნებისმიერი ქმედება.

მინდობილობა გაცემულია ათი წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლალი ბაგრატიონის სანოტარო არქივში.

ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის № B12104801;
2. შპს „ედლაინი"-ის წესდების ელ. ვერსია ინახება ნოტარიუს ლალი ბაგრატიონის სანოტარო არქივში საქმე №121167952

მინდობილობის გამცემს მე, ნოტარიუსმა, ლალი ბაგრატიონმა, წავუკითხე ეს მინდობილობა და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.
1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ წინამდებარე მინდობილობა დადებულია სხვა გარიგების დასაფარად, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები.
2.მინდობილობის გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.
გადახდილია. 10.0 (ათი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. 507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და და მომსახურების ვადები" (მუხლი 31), 2.0 ლარი სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისთვის (მუხლი 39), აგრეთვე დღგ: 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. სულ გადახდილია 13.80ლ(ცამეტი ლარი და 80 თეთრი).

ზაზა ჭინჭარაული----------

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N7 ხელშეკრულებაზე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი

25 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, **შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“** შემდგომში წოდებული, როგორც **„შემსყიდველი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ყაზარაშვილის სახით, ხოლო;

მეორეს მხრივ, **შპს „ედლაინი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის, ვახტანგ დუდუჩავას სახით;

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალკე მოხსენიებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“;

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2018 წლის 21 მაისს გაფორმებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N7 ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) საფუძველზე, მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მიწოდებული მომსახურების თაობაზე მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

წინამდებარე მიღება ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“	**შპს „ედლაინი“**
ს/კ 404957338	ს/კ 406075946
თორნიკე ყაზარაშვილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ვახტანგ დუდუჩავა